

## ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისაგან სესხის მიღების და დაფარვის წესი

დამტკიცებულია საქართველოს  
ეროვნული ბანკის პრეზიდენტის  
2000 წლის 31 ივლისის  
N 216 ბრძანებით

### მუხლი 1

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკებისათვის სესხის მიცემისა და დაფარვის წესს.
2. ეს წესი შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის 62-ე და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლების საფუძველზე.
3. სესხი ეძლევა ბანკს, რომელსაც წარმოადგენს მისი ლიკვიდატორი სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის საჭირო მიზნობრივი ხარჯების, როგორცაა სამუშაო ფართობის იჯარის გადასახადი, სასამართლო პროცესების წარმართვისათვის საჭირო სავალდებულო სახელმწიფო ბაჟის გადასახადი, კომუნალური ხარჯები, თანამშრომელთა ხელფასები, მივლინებისა და სხვა ანალოგიური ხარჯები, გაწევის მიზნით.
4. სესხის ჯამური თანხა განისაზღვრება 20 ათასი ლარით, მისი გაცემა შეიძლება 20 ათას ლარზე ნაკლები თანხის ფარგლებში ან ამ მიზნით ადრე მიღებული სესხის მთლიანად დაფარვის პირობებში.
5. სესხი გაცემა 3 თვემდე ვადით. შეიძლება მისი რესტრუქტურირაცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბანკის აქტივების რეალიზაციის გრაფიკს.
6. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს მიზეზის მიუთითებლად უარი განაცხადოს სესხის გაცემაზე.

### მუხლი 2

სესხის გაცემის საფუძველია:

- ა) ლიკვიდატორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს კურატორი ვიცე-პრეზიდენტის სახელზე წარდგენილი განცხადება (დანართი N 1) სესხის გამოყოფის შესახებ;
- ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოსა და ფულად-საკრედიტო ოპერაციების სამმართველოს დადებითი დასკვნა სესხის გაცემის თაობაზე;
- გ) საკრედიტო ხელშეკრულება (დანართი N 2).

### მუხლი 3

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის მიერ ვიზირებული განცხადება, აგრეთვე საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოსა და ფულად-საკრედიტო ოპერაციების სამმართველოს დასკვნა სესხის გაცემის თაობაზე განცხადების მიღებიდან ერთი დღის ვადაში გადაეცემა

ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ოპერაციების სამმართველოს  
ხელშეკრულების გაფორმებისა და, შესაბამისად, ლიკვიდატორის ანგარიშზე სესხის  
ჩარიცხვის მიზნით.

#### **მუხლი 4**

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ოპერაციების სამმართველო  
ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ლიკვიდატორის ანგარიშზე  
სესხის ჩარიცხვის თაობაზე განკარგულება გადასცეს ეროვნული ბანკის საოპერაციო  
სამმართველოს. განკარგულებაში როგორც წესი, მითითებული უნდა იყოს სესხის  
თანხა, დაფარვის თარიღი და სესხით სარგებლობის პროცენტი, რომელიც  
განისაზღვრება შესაბამისი პერიოდისათვის სავალდებულო რეზერვებზე დასარიცხი  
დადგენილი წლიური საპროცენტო განაკვეთის ან წლიური ინფლაციის საპროგნოზო  
მაჩვენებლის ოდენობით.

#### **მუხლი 5**

განკარგულების ერთი პირი გადაეცემა ეროვნული ბანკის საბანკო  
ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს, რომელიც ვალდებულია  
ლიკვიდატორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, აგრეთვე ადგილზე ბუღალტრული  
ჩანაწერების შემოწმებების საფუძველზე პერიოდულად, კვარტალში ერთხელ მაინც,  
უზრუნველყოს ლიკვიდატორის მიერ სესხის მიზნობრივად გამოყენების შემოწმება.

#### **მუხლი 6**

სესხის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში  
ლიკვიდატორს წარედგინება სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის  
დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნა, ამავდროულად ეროვნულმა ბანკმა უნდა  
მოსთხოვოს სასამართლოს ლიკვიდატორის უფლებამოსილების შეწყვეტა  
უნდობლობის მოტივით და აღნიშნული ფაქტები აცნობოს სამართალდამცავ  
ორგანოებს.

---

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის  
2000 წლის N 216 ბრძანებით  
დამტკიცებული წესის  
დანართი N 1

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს  
ბატონ

კბ \_\_\_\_\_ ლიკვიდატორის

---

(გვარი, სახელი)

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ \_\_\_\_\_ ბანკში სალიკვიდაციო საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად მომცეთ სესხი \_\_\_\_\_ ლარი.

თანხა გამოყენებული იქნება შემდეგი დანიშნულებით:

- ა.
- ბ.
- ბ.
- დ.

სესხის თანხას ეროვნულ ბანკს დავუბრუნებ 2000 წლის

\_\_\_\_\_ ბანკის

(მიეთითება სესხის დაფარვის თვე და რიცხვი)

აქტივების რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრებიდან.

ვიცი, რომ პირადად მე, მთელი ჩემი ქონებით ვაგებ პასუხს თანხის არამიზნობრივად გამოყენებისათვის, ან სხვა განზრახი თუ გაუფრთხილებელი მოქმედებისათვის, რომელიც გამოიწვევს ლიკვიდაციაში მყოფი ბანკების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისაგან სესხის მიღებისა და დაფარვის წესის ან ხელშეკრულების პირობების დარღვევას.

\_\_\_\_\_  
ხელმოწერა

\_\_\_\_\_  
თარიღი

პრეზიდენტის აპარატის უფროსი

\_\_\_\_\_

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის  
2000 წლის N 216 ბრძანებით  
დამტკიცებული წესის  
დანართი N 2

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2000 წლის „ „ \_\_\_\_\_

საქართველოს ეროვნული ბანკი, მისი ვიცე-პრეზიდენტის \_\_\_\_\_ სახით, ერთი მხრივ, და ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კომერციული ბანკი \_\_\_\_\_ ლიკვიდატორის \_\_\_\_\_ სახით (შემდგომში-ბანკი), მეორე მხრივ, ეროვნული ბანკის ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე „ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისაგან სესხის მიღებისა და დაფარვის წესის“ საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ბანკისათვის \_\_\_\_\_ დაფარვის<sup>1</sup> ვადით სესხის მიცემა \_\_\_\_\_ ლარის ოდენობით, სესხით სარგებლობისათვის წლიურად სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე პროცენტის დარიცხვის დადგენილი განაკვეთის (ან წლიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლის) ოდენობით<sup>2</sup>, სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის საჭირო მიზნობრივი ხარჯების (სამუშაო ფართობის იჯარა, სახელმწიფო ბაჟის გადასახადი კომუნალური ხარჯები, თანამშრომელთა ხელფასების მივლინების ხარჯები) გაწევის მიზნით.

---

<sup>1</sup> მიეთითება სესხის დაფარვის კონკრეტული თარიღი

<sup>2</sup> მიეთითება ერთ-ერთი.

## 2. ეროვნული ბანკის ვალდებულება

ეროვნული ბანკი ვალდებულია:

2.1. მისცეს ბანკს მიზნობრივი სესხი ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე პერიოდულად განახორციელოს სესხის გამოყენების მიზნობრიობის შემოწმება.

2.2. სესხის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში, დარღვევის ხრარისხის გათვალისწინებით, უშუალოდ ლიკვიდატორის მიმართ გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ზომები:

- ლიკვიდატორს სესხი დააფარინოს ვადაზე ადრე;
- მოსთხოვოს სასამართლოს ლიკვიდატორის უფლებამოსილების შეწყვეტა

უნდობლობის მოტივით;

- ლიკვიდატორის საქმე გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს.

### **3. ბანკის ვალდებულება**

ბანკი, მისი ლიკვიდატორის სახით ვალდებულია:

3.1. მიღებული სესხი გამოიყენოს მიზნობრივად.

3.2. სესხი დაფაროს დადგენილ ვადაში.

3.3. საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს სესხის გამოყენების ყოველთვიური ანგარიში საანგარიშო თვის გასვლიდან 5 დღის ვადაში.

### **4. ლიკვიდატორის პასუხისმგებლობა**

ლიკვიდატორი პირადად და მთელი თავისი ქონებით პასუხს აგებს თანხის არამიზნობრივი გამოყენებისათვის ან სხვა განზრახი თუ გაუფრთხილებელი მოქმედებისათვის, რომელიც გამოიწვევს „ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისაგან სესხის მიღებისა და დაფარვის წესის“ ან ამ ხელშეკრულების დარღვევას.

### **5. დამატებითი პირობები**

5.1. სესხით სარგებლობისათვის პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ყოველთვიურად, ხოლო მისი გადახდა - სესხის ძირითად თანხასთან ერთად.

5.2. სესხის ვადამდე დაბრუნება შეიძლება საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით.

5.3. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტა ხდება სასამართლოს მეშვეობით.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. თითოეულ მხარეს ეძლევა თითო ეგზემპლარი.

### **მხარეთა იურიდიული მისამართები**

საქართველოს ეროვნული ბანკი

კომერციული ბანკი \_\_\_\_\_ ლიკვიდატორი  
საქართველო. ქ. თბილისი ლეონიძის ქ. N 3/5  
საქართველო. ქ. თბილისი \_\_\_\_\_

საკორესპონდენტო ანგარიში ეროვნულ ბანკში

\_\_\_\_\_  
ეროვნული ბანკი

\_\_\_\_\_  
კომერციული ბანკი